საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №151/04
2019 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/08/2018, ს/კ: 220020000.18.011.016334) დამტკიცებული წესის:

1. მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის თანხმობა მისი მონაცემების ბიუროში გადამოწმებაზე და ამასთან, საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) და სხვა მომსახურების გაწევისას სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს ერთჯერადი თანხმობა, რომლის მიღებიდანაც არ უნდა იყოს გასული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი (დანართი №5). ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომელიც კანონის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.“.

2. მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი ვალდებულია გააჩნდეს პირის თანხმობა მისი მონაცემების ბიუროში გადამოწმებაზე და ამასთან, საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) და სხვა მომსახურების გაწევისას სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს ერთჯერადი თანხმობა, რომლის მიღებიდანაც არ უნდა იყოს გასული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი (დანართი №5). ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომელიც კანონის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**